რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".
Телефонъ № 363

## ტელეფონი რედაქციისა № 363.

**გრიგოლ ნიკოლოზის ძე პაპიტაშვილი** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ მეუღლე მისი

**სალომე გიორგის ასული**

გარდაიცვალა 22 დეკემბერს. პანაშვიდი იქნება გადახდილი 24 დეკემბერს 12 საათზედ მთა-წმინდის სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში, ახმატოვის სახლში, ხოლო დასაფლავება 26 დეკემბერს.

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

**ხე-ტყის ქარხანა**

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს

**წაბლის ფიცრებს**

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისას.

ფასი მასალებისა მეტად იაფია

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომშ. მსურველთ შეუძლიათ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, anu Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—1)

**პანცერი და გლუხოვსკი**

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯევის სახლი (ეზოში).



ახლად გაღებულ ქარხნის საწყობი

**საკერავი მაშინებისა**

ნამდვილის **ზინგერ-ნაუმანის** და სხვა გამოჩენილ სისტემის მაშინები: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქარხნისაა. (15—ფ.—12)

**წარმოდგენა დილით დაკლებულ ფასებით.**

ქართული თეატრი

1896 წ. პარასკევს, 27 დეკემბერს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

**სამშობლო**

დრ. 5 მოქმედ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, გამყრელიძისა, ივანიძისა, ბბ. აბაშიძე, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, თამაზიშვილი, და სხვანი.

**დასაწყისი 12 საათზე დღისით**

ქ. ქუთაისი.

ქართული თეატრი

1896 წ. კვირას, 29 დეკემბერს.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ. ავალიშვილისა და ბ. ალექსი-მესხიშვილის, ყიფიანის და გედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

**ჰამლეტ**

ტრაგედია 5 მოქმედ. შექსპირისა, თარგმანი ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩხეიძისა, ივანიძისა და სხვ. ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გედევანოვი, ბალანჩივაძე, თუთბერიძე, გიორგაძე, აბულაძე, ნემო, ტყეშელაშვილი და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—2 საათ. ამათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. ზუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. ზუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

**სამკურნალო და ამბულატორია**

**ს. ზ. თოფურიასი**

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ზ თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი **ს. ზ. თოფურია.** (წ.)

## გუშინდელი დეპეშა

22 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება მოსკოვის გენერალ გუბერნატორის დიდის მთავარის სერგეი ალექსანდრეს ძის სახელობაზედ: „თქვენო უმაღლესობავ! მოვისმინეთ რა მოხსენება თქვენი შესახებ იმ ფულის რაოდენობისა, რომელიც უკვე შეკრებილია განსვენებულის ჩვენის მშობელის იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის ძეგლის ასაგებად მოსკოვში, საჭიროდ მივაჩნია ეხლავე შევუდგეთ ძეგლის პროექტების შედგენას. სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენის თაოსნობით, რამდენისამე წლის შემდეგ მოსკოვი და მასთან მთელი რუსეთი სიხარულით დაინახავს იმის ძეგლს, ვინც თვისი ძალ-ღონე მოახმარა სამშობლოს სამსახურს. დავშთები თქვენი კეთილის მყოფელი და გულით მოყვარული თქვენი ძმისწული **ნიკოლოზ.**"

## ახალი ამბავი

⁂ **კიდევ წულუკიძის ქალის შესახებ.** დაბა ოჩემჩირედამ დეპეშით გვატყობინებენ, რომ წულუკიძის ქალი და მისი მომტაცებელნი სამურზაყანოში შეუპყრიათ 21 დეკემბერს.

⁂ **ქართული წარმოდგენა დილით.** როგორც მკითხველები დღევანდელ განცხადებიდან წაიკითხავდენ, ქართული დრამატიული დასი პარასკევს, 27 დეკემბერს, გამართავს დილის წარმოდგენას დაკლებულის ფასებით მოწაფეთა და მდაბიო ხალხისათვის. წარმოადგენენ დრ. „სამშობლოს".

⁂ **„დედა-ენის" ახალი გამოცემა.** ჩვენ მივიღეთ «წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» მიერ დაბეჭდილი ახალი, მეთორმეტე, გამოცემა „დედა-ენისა". წიგნი შემკულია მრავალის ახალის ნახატებით, რომე-

ლთა რიცხვი საზოგადოდ აღემატება სამას სამოც სურათს. ამ ახალს სურათებს წიგნი გაუდიდებიათ მთელი თექვსმეტი გვერდით, ასე რომ ეხლანდელი გამოცემა შეიცავს 224 გვერდს. ფასი იგივე აქვს. საზოგადოდ ეს გამოცემა ბევრად სჯობს წინანდელს გამოცემებს. სარჩევის ბოლოში ვკითხულობთ შემდეგს შენიშვნას შემდგენელისაგან.

«რომლის ნაწარმოების ავტორი სარჩევში არ არის დასახელებული, ის ჩვენ გვეკუთვნის. სხვა და სხვა წყაროებიდგან ამოღებული ნაწარმოებიც ჩვენი საკუთარის რედაქციით არის შეტანილი წიგნში. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ სახელმძღვანელოების შემდგენელთ, ჩვენ დაუკითხავად ნუ ინებებენ ჩვენი წიგნიდგან სესხსა. რაც შეეხება სახალხო ლექსებს, სამოცდა ათას ცალში ათი ნასესხებია ბ-ნ პეტრე უმიკაშვილის კრებულიდგან, ექვსი ბ-ნ სამსონ ლონდაძის კრებულიდგან, ექვსიც სხვა წყაროებიდგან არის გადმოღებული და ორმოც-და ათამდე ჩვენი შეკრებილია. დასურათება ამ გამოცემაში მოთხრობებისა და ლექსებისა ჩვენ დაგვიჯდა ორმოც თუმნამდე. სურათები სრულს ჩვენს საკუთრებას შეადგენს და ამიტომ მათს გადაღებას ნურავინ იკადრებს ჩვენს დაუკითხავად».

*** **ექსარხოსის სიტყვა.** როგორც ვიცით, მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმირმა იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო გაბრიელის დაკრძალვის დღეს წარმოსთქვა გელათის ტაძარში მეტად შესანიშნავი, მშვენიერის შინაარსის სიტყვა, რომელმაც მსმენელებზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლა გავიგეთ, რომ ეს სიტყვა რუსულის ენიდამ ქართულს ენაზედ გადმოუთარგმნია თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს ბ. ი. ფერაძეს და მალე დაიბეჭდება ცალკე წიგნაკად.

*** **გურია-სამეგრელოს სამოსწავლო საეპარქიო რჩევის თავმჯდომარედ** დანიშნულია უწმინდესის სინოდის მიერ ფოთის საკრებულო ტაძრის დეკანოზი მ. გ. მაჭარაშვილი.

*** **შემწეობა დღესასწაულებისა გამო.** კავკასიის მთავარ-მართებელის მოადგილემ გრაფმა ტატიშჩევმა დაადგინა, მიეცეს შემწეობა საგანგებო თანხიდგან შემდეგ დაწესებულებათ: 1) ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოებას 1500 მ., 2) ტფილისის პოლიც მეისტერს ღარიბ მცხოვრებთათვის შეშისა და ტანთსაცმელის საყიდლად 1000 მ. 3) თავშესაფარს და ღარიბთა სახლს ნავთლუღში 300 მ. 4) განჯის გუბერნიის დაბა აჯიქენთის ეკკლესიებს 150 მან. და კუკიის სასაფლაოს სამზრუნველოს 350 მ. („კავკაზი“).

*** **სტიპენდია ს. ა. შერემეტევის სახელობაზედ.** პეტერბურგის სომხებს განზრახვა აქვთ დაარსონ უმაღლესს სასწავლებელში სტიპენდია განსვენებულის ს. ა. შერემეტევის სახელობაზედ.

*** **ტფილისის საკრედიტო საზოგადოება.** მომავალს იანვარში 25 წელიწადი შესრულდება, რაც ტფილისის საკომერციო ბანკი დაარსეს. ბანკის ადმინისტრაციას გადუწყვეტია, ეს დღე იდღესასწაულოს. სხვათა შორის განზრახვა აქვთ შარშან დაარსებულ «ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასის» თანხა გაადიდონ. ამ კასის დაარსების დროს აქციონერებმა 10,000 მან. გადასცეს და ამას გარდა დაადგინეს: ათის წლის განმავლობაში ყოველ წელს 2,000 მან. გადასცენ კასის თანხის გადიდებისათვის.

*** **სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაციის საყურადღებოდ** ბ-ნი ვ. ს. გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი:

„ტფილისის ახალს თეატრში შედარებით ბევრი ლიბრეტო იყიდება სხვა-და-სხვა ოპერისა და ეს ადვილი გასაგებიც არის. საქმე ის არის, რომ მომეტებულმა ნაწილმა საზოგადოებისამ, რომელიც ოპერაში დაიარება, ოპერის შინაარსი არ იცის, ბევრჯერ-კი ძალიან ძნელია ხოლმე ოპერის შინაარსის გაგება, მეტადრე მაშინ, როდესაც არტისტები უცხო ენაზედ მღერიან. ამიტომაც არის, რომ ოპერის შინაარსს—ლიბრეტოს—ბეჭდამენ ხოლმე და ამით საზოგადოებას ოპერის გაგება უადვილდება. ჩვენის თეატრის ადმინისტრაციამაც ითავა ლიბრეტოს გაყიდვა და თეატრის კასსაში ისყიდება კიდეც ყოველ ოპერის ლიბრეტო. ეს ძალიან კარგია და მოსაწონიც, მაგრამ იმას-კი ვერ მოვუწონებთ, რომ რიგიანად შედგენილის და დაბეჭდილის ლიბრეტოს მაგიერ ბ. ლონგინოვისაგან ოდესაში გამოცემულს ლიბრეტოს აწვდის. ეს გამოცემა მეტად შემოკლებულია, შეცდომით სავსე და ამას გარდა ფერადს ქაღალდზედაც არის დაბეჭდილი, ბევრჯერ იმისთანა ფერისაზედ, რომ ზედ დაბეჭდილს ასოს ვერ გაარჩევთ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ოდესაში ხსენებულ ლონგინოვი ლიბრეტო 5 კაპ. ისყიდება, ხოლო ჩვენს კასაში კი თითო აბაზად. გვგონია, რომ თეატრის ადმინისტრაცია ისედაც ბევრს იღებს საზოზოგადოებისაგან, რომ კიდევ ლიბერტოზედაც არ მოეწადინა გროშების მოგება“.

*** **ქართველები თერგის ოლქში.** ჩვენს გაზეთში ამას წინად იყო მოხსენებული, რომ მდ. თერგზედ არის გაშენებული ქართველების სოფლები სარაფანა და სასოფლე. პირველ სოფელში თუმცა ქართულად ყველა ლაპარაკობს, მაგრამ წერა-კითხვა კი ბევრმა არ იცის ქართულ ენაზედ და სურვილი კი აქვთ, ისწავლონ ქართული წერა-კითხვა. მეორე სოფელში კი, სასოფლეში, ახლად გამოწერილია ქართველი მასწავლებელი, რომელიც შესდგომია საქმეს და წიგნებიც დაუბარებია. გაიგეს რა სურვილი ჩრდილოეთის ქართველებისა, ჩვენმა გამომცემლებმა ბ-ნმა ი. როსტომაშვილმა და ბ-ნმა ზ. ჭიჭინაძემ აღგვითქვეს, მუქთად გაუგზავნონ ოროლი ცალი თავიანთი გამოცემისა კავკავის ქართულ სკოლის მასწავლებელს ბ. ლ. ბოცვაძეს, რომელიც გადასცემს მათ. კარგი იქნებოდა, რომ სხვებსაც გაემეტნათ წიგნები დაშორებულ ქართველებისათვის. წიგნები შეიძლება შეგროვდეს წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში, საიდგანაც ლ. ბოცვაძის შემწეობით გადაეცემა თერგის ქართველობას.

*** **თავქეიფა მოხელე.** ქუთაისში რკინის გზის მახლობლად დასახლებულა საქალაქო მიწაზე, სალორიის უბანში, რამოდენიმე მოსახლე. თუმცა-ღა ბევრჯერ ითქვა იმათი აქედგან აყრა, მაგრამ აქამომდე იმაგრებენ თავს, რადგან მცხოვრებლებს ნაჩივარი აქვთ, და ელიან გარდაწყვეტილებას. მაგრამ მიუხედავად ამისა აქ 14 ამა თვეს დიდი აწიოკება მოახდინა ერთმა აქაურმა მოხელემ ლ—ნიძემ, რომელიც ჰყოლია ქალაქს დაყენებული სალორიის ტყის მცველად. ეს ვაჟბატონი თავს დაეცა ორის შეიარაღებულის კაცით ერთ აქაურ ახალ მოსახლეს ხეთერელს და სულ მტვრათ აქცია ამ საცოდავის ახლად აგებული სახლი. არავითარმა ხვეწნა-მუდარამ და არც უსუსური, აკვანში მწოლარე, ბავშვის წივილმა, არ მოალბო ამ ვაჟ-ბატონის გული, და არ შეიბრალა ეს საცოდავი მოსახლე რომელიც ნასესხი ფულით ძლივს ღირსებია თავშესაფარავს. საცოდავი ქალი (ქმარი შინ არ ჰყავდა) ემუდარებოდა, რომ არ დაემტვრია სიმწრით აშენებული სახლი, და „მე თვითონ დავანგრევ შემდეგში, თუ ნებას არ მომცემენო“. მაგრამ ბრაზმორეული ბ-ნ ლ—ნიძე უყვიროდა მუშებს, დაელეწათ სახლი და ქვა ქვაზე არ დაენარჩუნებინათ. მოთმინებიდგან გამოსულ ქალს, უნდოდა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ მოხელეს რევოლვერით შეუშინებია, რომლის დანახვაზე ქალს გული წაუვიდა და ან კი რა წინააღმდეგობა უნდა გაეწია ქალის სუსტს მაჯას გაბრაზებულ ვაჟკაცთან. ასე და ამ გვარად სახლი მტვრად აქციეს, და საცოდავი ქალი მეზობელს უნდა შეეხიზნა თავის პატარა ბავშიანათ. საკვირველია სწორედ: არ ვიცით ვინ უფრო დამნაშავეა და ვინ უფრო გავამტყუნოთ. ქალაქის მოხელე თუ თვით ქალაქის გამგეობა. ჩვენის აზრით ორივე დამნაშავენი არიან, მაგრამ ვინ არის პატრონი, რომ ყურადღება მიაქციოს...

*** **ტფილისის ჯიბგირებმა** თავიანთ „საზოგადო მოქმედებისათვის“ ახალი ასპარეზი თურმე მოიპოვეს. ახალს სახელმწიფო თეატრში ხალხი რომ დაიშლება ხოლმე წარმოდგენის გათავების შემდეგ, და ყველა ეჩქარება მალე იპოვნოს და ჩაიცვას თავისი ზევითი ტანთ-საცმელი, თეატრის ვესტიბიულში დიდი არეულობა არის და სწორედ ამ დროს აქ გამოჩნდებიან ხოლმე ეს ბატონები და, როგორც სჩანს, ძალიან კარგადაც „მუშაობენ“. ასე წარსულს პარასკევს ერთს საათი ამოაცალეს და მეორეს კიდევ ფულის ქისა.

**ბათომი.** 15 დეკემბერს, ღამის 12 საათზედ, კაბაჩნიკოვის მაღაზიაში ცეცხლი წაეკიდა თავ-ახდილ ბოჩკას, რომელიც სავსე იყო სალებავ წამლით. ეს ამბავი შეიტყო პოლიციის განყოფილების ბოქაულმა, მოიჭრა საჩქაროდ; ხალხის დახმარებით შეამტვრია კარები მაღაზიისა და ცეცხლი მალე გააქრეს. ასე რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, იქმნება, მარტო მაღაზია-კი არა, მთელი ქუჩა გადამწვარიყო, რადგანაც სალებავ წამლებს ცეცხლი ძლიერ ადვილად ეკიდება და გაქრობა მეტად ძნელია.

*** **ქვემო მაჩხაანი.** ოცი დღეა, რაც ტფილისიდამ მომავალს დ. მაჩხანელს ფეხი მოსტეხა კანჭში გადაბრუნებულმა ფაიტონმა; ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფი ძილ-მიუკარებლად შფოთავდა დღე და ღამ სიმწვავის და სიცხის გამო, ამ ჟამად კი ცოტა უკედ შეიქნა. ტფილისიდამ მოწვეული განთქმული დოსტაქარი ბაჯიაშვილი დიდს იმედს იძლევა, რომ ავადმყოფი მომავალ იანვრის დამლევამდე სრულებით განიკურნება და ჩვეულებრივად ივლისო.

*** **ქიზიყი.** დღე და დღე მატულობს პურისა და ქერის ფასი ჩვენშიაც და ღვინო ხომ წამლადაც ძლივს მოგვივიდა. დიდად სამწუხაროა, როდესაც ღვინის მადან კახეთ-ქიზიყში ტფილისიდამ აღვლეფილი წყალ-ღვინოები შემოაქვთ გასასყიდად. როგორც სჩანს სულადი თანდათან უფრო გაძვირდება და რადგანაც ქიზიყის სახალხო დეპოს დიდძალი პური და ქერი აქვს ორი წლისა, ამისათვის ძალიან კარგს იზავდა დეპოს გამგეობა, რომ ნაცვლად «ფოდრაჩიკებისა» პური საწყალ გლეხ ხალხზედ ჰყიდოს წვრი-

ლოდ მაზანდაზედ ცოტა-რამ ნაკლებ.

** **ქუთაისი.** ახალი ბიბლიოთე-
ვის და სამკითხველოს კურთხევა.
კითხველებმა ჩვენის გაზეთიდან უკვე
იციან, რომ ქუთაისში რამოდენიმე
ამპატიო პირთ განიზრახეს ჩვენის
იდებულის მწყემსთ-მთავარის გაბრი-
ელ ეპისკოპოსის სახსოვრად ბიბლი-
ოთეკის დაარსება. ეს ყოვლად სიმ-
პატიური აზრი განხორციელდა კი-
დეც; ამ ჟამად ქუთაისში დაარსებუ-
ლია ბიბლიოთეკა და სამკითხველო
გაბრიელ ეპისკოპოსის სახელზე, რო-
მელსაც, როგორც ქუთაისიდან გვა-
ტყობინებენ, დიდის ამბით აკურთხე-
ბენ შობის მეორე დღეს, ხუთშაბათს
26 დეკემბერს. უეჭველია ქუთათუ-
რები სიამოვნებით მიეგებებიან ამ
ამბავს და ალბათ დიდ-ძალი ხალხიც
დაესწრება ბიბლიოთეკის კურთხე-
ვას.

** **ს. მოლითი.** (შორაპნის მა-
ზრა) **ავაზაკების დაჭერა.** ის ავა-
ზაკები, რომელთაც გაძარცვეს სო-
ფელს ნებოძირში ურია ისხაკა წვე-
ნიაშვილი, ხარაგაულის ბოქაუ-
ლმა ბ. ლოლობერიძემ უკვე შეიპ-
ყრო და გამომძიებელს გადასცა.

** **დ. ზუგდიდი.** აქაურები სრუ-
ლებით მოკლებულნი ვართ რაიმე
რიგიანს თავ-გასართობს, ჩვენთვის
ღმერთს არ მოუცია ის ბედნიერება,
რომ დრო გამოშვებით მაინც, წე-
ლიწადში ორ-სამჯერ, გაიმართოს
ქართული, გინდ რუსული წარმოდგე-
ნა, ანუ სალიტერატურო საღამო...
სამკითხველო და წიგნთ-საცავი ხომ
არა გვაქვს და არა გვაქვს, რომ
სამსახურიდამ ანუ სხვა შრომიდამ
თავისუფალი დრო კითხვაშიდ და
ჭკუა- გონების ვარჯიშობაშიდ გავა-
ტაროთ. რა დააშავა ზუგდიდმა, იმ
ზუგდიდმა, რომელიც მთელს სამეგ-
რელოის დედა ქალაქად ითვლება,
რომ ესეთი კეთილი და თვალ-საჩი-
ნო საქმე ვერ გაგვიჩაღებია იქ,
როგორც წიგნთ საცავი და სამკი-
თხველოა? მით უფრო გასაკვირია
ეს გარემოება, რომ საქართველოს
კუთხეებში, თითქმის პატარა სოფ-
ლებშიაც-კი გამართეს უფასო სამკი-
თხველოები. რა გვაკლია? ბევრი
მეტყვის: „შეძლება არა გვამვსო»!..
როგორ გეკადრებათ, ცოტათი შე-
ვამციროთ ყოვლად უაზრო და უსა-
რგებლო ხარჯი ცხოვრებაშიდ, მო-
უკლოთ სმასა და ლოთობას, თავი
დავანებოთ ქაღალდის თამაშს და მა-
შინ სამკითხველოსათვის ფულიც
გვექნება და დროც... კიდევ მიპა-
სუხებენ: «კი, მაგრამ რომ ყოველი-
ვე კეთილს საქმეს მოთავე უნდაო
და სადა გვყვანან ასეთებიო?“ —ძლიერ
ბევრი მოიპოვება ჩვენში პატიოსნე-
ბით და წმინდის მიმართულებით აღ-
სავსე ადამიანი, რომელსაც ადვილად
შეუძლიან განახორციელოს ეს ჩემი
წინადადება, მაგრამ, როგორც ყო-
ველს კეთილს საქმეში, ისე აქაც
გვაკლია სიფხიზლე და გამბედავნო-
ბა...

გვეშინიან საქმე დავიწყოთ და
ვერ დავასრულოთ; მაგრამ ნუ და-
ვივიწყებთ, რომ შიშით საქმე არა-
სოდეს გაკეთებულა!.. დავიწყოთ,
მოვიწადინოთ და ბოლო ბედზედაა!

წელს თებერვალში აქაურმა სცე-
ნის მოყვარეებმა საქველ-მოქმედო
მიზნით გამართეს ქართული წარმო-
დგენა, რომელმაც მშვენივრად ჩაია-
რა. წარმოდგენამ საზოგადოებაც
ასიამოვნა და კეთილს საქმესაც არა
მცირე სამსახური გაუწია.

ურიგო არ იქნებოდა, რომ პატი
ვცემულნი სცენის მოყვარენი კვლა-
ვაც გამართავდნენ ქართულს წარმო-
დგენას და შემოსავალს მოიხმარდნენ
თუნდა სამკითხველოს გასამართავად.

დატრიალდით, პატივცემულნო
მანდილოსნებო! თქვენც თავი ისა-
ხელეთ და ჩვენც გვასიამოვნეთ!?...

აქ მშვენიერი ამინდები დგას—
თითქმის მაისი გეგონებათ.

სიმინდის ფასმა იმატა, მაგრამ ქე-
სატობა მაინც საშინელია.

** **ს. ხარაგაული.** ჩვენი სო-
ფელი ვინ იცის რამდენი ხანია არ-
სებობს, მაგრამ ვინ აქცევდა მის არ-
სებობას ყურადღებას, თუ არა ჩხე-
რიმელა წყალი. ამ უკანასკნელმა თა-
ვისის შარშანდელის მოქმედებით
ბევრს აცნობა როგორათაც თავისი
თავი, აგრეთვე ის სოფელი, რომელ-
ზედაც იგი მიმდინარეობს. შარშან-
დლამდის ამ სოფელში ორი თუ სა-
მი დუქნის მეტი არა ყოფილა რა
და ეხლა ნახეთ რა ბაზარი გაიმარ-
თა. რკინის გზის მუშაობა, რაც შარ-
შან დაიწყო, დღემდის გრძელდება.
მუშა ხალხი აქ ძრიელ ბლომათ არის.
ამათში რა რჯულის გინდათ არ ნა-
ხოთ: ქართველი, რუსი, ლეკი, თა-
თარი, ბერძენი, იტალიელი დასო-
მეხი. სამუშავარი ჯერ ისევ ბევრია,
რადგანაც დღემდის ნახევარიც არ
გაკეთებულა რა. გააკეთეს მხოლოდ
რაც უფრო საჩქარო იყო საშიშ ად-
გილებზე და დანარჩენს კიდევ კარგა
ხანს მოუნდებიან.

რკინის გზა აქნამდის სამუშავარს
ნაწილ ნაწილად ურიგებდა ყველა
მსურველთ. მხოლოდ ეხლა მთელი
სამუშავარი ჩაუგდიათ ხელში არა
მდიდარ ტფილისელ ვაჭრებს. ამ
უკანასკნელებს თურმე რკინის გზი-
დგან ძრიელ კარგ ფასებში აქვთ
აღებული სამუშავარი და თავის
მხრიდგან კი ისეთ ფასებში აძლევენ
სხვებს, რომ არავის ხელს არ აძლევს
და ადგილობრივ მცხოვრებთ დიდი
ზარალიც მოსდით, მაგრამ რა ქნან,
არ იციან ვის მიმართონ. რკინის გზის
მმართველობას არ უნდა ჩაედინა ამ-
ნაირი საზარალო საქმე მთელი ხალ-
ხისთვის და სასარგებლო მხოლოდ
ორი პირისათვის. ამისი შედეგი აი
რა არის: ჩამობრძანდებიან აქ სხვა-
და სხვა მოიჯარადრენი ურია და თუ
სხვა, აიღებენ სამუშავარს, ამუშავე-
ბენ საწყალ ხალხს და ბოლოს ფულს
რომ მიიღებენ, გაიპარებიან და პირ-
ლია სტოვებენ საწყალ მუშებს. კარ-
გათ იციან, რომ თუ ასე არ მოიქ
ცენ, თავიანთ ტყავსაც აქ დასტო-
ვებენ. ჩამოიარეთ ხარაგაულში და
ნახავთ, რამდენი ატირებული მუშა
კაცი შემოგხვდეთ. მოვაჭრეებს ნუ-
ღარ იტყვით. მიკიტნები, ყასბები და
მეტადრე მეპურეები სრულიად დაი-
ლუპნენ. ამათგან ზემოხსენებულ მო-
იჯარადრებმა ზიდეს და ზიდეს ნი-
სიათ ყველაფერი, რაც კი დასჭირ-
დათ და გასტუმრება ღმერთს კით-
ხეთ. ამას გარდა საჭმელ-სასმლის
ძრიელ ძვირობაა აქ. მეპურეები უთუ-
ოდ იმისთვის, რომ ბევრი ფული
დაეკარგათ ნისიაში, გაჯავრებულნი
ისეთ პურს აცხობენ, რომ კაცს არ
ეჭმევა და იმასაც ძვირად ყიდიან.
ნიხრი ამათთვის აქ არ არსებობს და
როგორც უნდათ ისე ყიდიან. შავი
პური გირვანქა სამი კაპეიკია და მა-
ზედ ცოტა თეთრი ოთხი კაპ. ამ
ბოლოს დროს მაინც ისეთ მწარე
პურს აცხობენ, რომ ღმერთმა დაგი-
ფაროსთ იმის ჭამისაგან. საკვირველი
ამბავია, რომ მეფურნეების თავ-გასუ-
ლობას არავინ არ აქცევს ყურად-
ღებას. მიუხედავად იმისა, რომ წელს
აქ ღვინის მოუსავლობაა, მუდამ დღე
დაინახავთ ბაზარში ხანჯლის ტრი-
ალს და ჩხუბს. ამ დღეებში ერთმა
შეზარხოშებულმა ყმაწვილმა აქაურს
მამასახლისს წაართვა თავისივე ხან-
ჯალი და დაუჭრა ხელები. ეს ყმა-
წვილი მხოლოდ ორი დღე იყო და-
პატიმრებული და ეხლა ისევ თავი-
სუფლად დაბძანდება და ემუქრება,
ვისიც ჯავრი სჭირს. კაცის გაძარც-
ვა და ქურდობაც აქ იშვიათი ამბა-
ვი არ არის. როგორც ნათქვამიდან
სჩანს, პატრონობა გვეჭირვება და
პატრონი კი არავინ გვყავს...

## რკინის გზის ამბები.

ამიერ კავკასიის რკინის გზით მო-
გზაურობს პარიზ-ლიონის რკინის გზის
დირექტორის შვილი ლეიტენანტი ნო-
ბლიმერი. რკინის გზის მართებლობამ
განსაკუთრებით პატივისცემა დაავალა
მატარებლის მოსამსახურეებს და პირ-
ველი კლასის კუპე დაუთმეს.

588 ვერსზე ბუტკის ყარაულები
გაცარცვას აბრალებენ გზის მერვე გან-
ყოფილების დღიურ მუშა თათრებს.
ხუთი კაცი დაიჭირეს და გადასცეს
ადგილობრივ პოლიციას გამოძიებისა-
თვის; ეს საქმე პოლიციამ გეოქჩაის
გამომძიებელს უნდა გადასცეს.

სადგური მცხეთა. 22 დეკემბერს,
ღამის 11 საათზე, ბუფეტში მოსამსა-
ხურე 14 წლის პორფილე ბესარიონის
ძე ჩხართიშვილი მიმავალ მატარებელ
№ 2-ზე უნდა შემჯდარიყო და თავის
გაუფრთხილებლობისა გამო ჩამოვარდა,
ვაგონის თვლებმა მარცხენა ფეხი დაუ-
შაკა. იქ დასწრო ფერშლად ნამყოფი
უფროსა კონდუკტორი გაგრილოვი,
რომელმაც პირველი შემწეობა აღმოუჩი-
ნა; დაჭრილი მატარებლით № 42-ით
წაიყვანეს თბილისში რკინის გზის სა-
მკურნალოში.

## თეატრის მატიანე.

**ქართული თეატრი.** წარსულ კვირას
ჩვენს თეატრში გამართულ იყო ორი
წარმოდგენა: ოთხშაბათს წარმოადგინ-
ეს „ჰამლეტი“ შექსპირისა, ივ. მაჩაბლის
ნათარგმნი, და კვირას „იაკობელები
ანუ სამეფო ტახტისათვის“ 5 მოქმ.
დრამა საფრანგეთის გამოჩენილის
პოეტის ფრანსუა კოპპესი, ნათარგმ-
ნი პეტრე ყიფიანის მიერ.

„ჰამლეტს“ აგერ ათი წელიწადია,
რაც ყოველ სეზონში არდგენენ ქა-
რთულ სცენაზე. იმ თავიდან მოყო-
ლებული დღევანდლამდე, ჯერ ანტ.
ფურცელაძის და მერე ივ. მაჩაბლის
ნათარგმნით ჰამლეტის როლს ჩვენი
ნიჭიერი აქტორი ბ-ნი ალექსი მეს-
ხიშვილი ასრულებს.

ინგლისის გამოჩენილი კრიტიკოსი
ჯონ ლუისი თავისს „სასცენო ხე-
ლოვნებაში“ სხვათა შორის სწერს,
რომ „ყველა, დიდი თუ პატარა აქ-
ტორები მუდმივ ეტანებიან ჰამლე-
ტის როლს და ჯერ მაგალითი არ
ყოფილა, რომ აქტორს ეგ როლი
სულ ერთიანად გაეფუჭებინოს და
მაყურებელთ ალაგ-ალაგ მაინც არ
მოსწონებოდეს, ისეთის ხელოვნე-
ბით, ისეთის კაცობრიულის ტკივილ-
ვარამით არის აღბეჭდილი ეგ უდი-
დესი ქმნილება შექსპირის გენიოსუ-
რის ნიჭისაო; ხოლო ვინც თამა-
შობს—იგი ხომ უცილობლად ჯერო-
ვან ზედ-გავლენას იქონიებს მსმენე-
ლზედაო“.

ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი ჰამლე-
ტის როლში ყოველთვის საკმაო
შთაბეჭდილებას ახდენდა ქართველ
მაყურებლებზედ და ეხლაც, მიუხე-
დავად მისის ავადმყოფობისა, საზოგა-
დოებას მოსწონს, ხოლო სავალალო
ის არის, რომ ჩვენს ნიჭიერს აქტორს
ხმა აღარ შესწევს და უხმოდ თამა-
შობა ხომ პანტომიმაა...

აქტორი დრამასა და კომედიაში
საზოგადოებაზე მოქმედებს თავდაპი-
რველად ხმით და ხმის თანამშრომე-
ლი კიდევ თვალებია, სახის გამომე-
ტყველება—მიმიკა, მიმოძრაობა, გრი-
მი, ტანთ-ჩაცმულობა და სხვა. მხო-
ლოდ ხმით აგონებს და ასმენს აქ-
ტორი მაყურებელთ როლს, მისს
ძლიერებას. აქტორი იგივე მუსიკა-
ლური იარაღია, იგივ თარი და ჩან-
გია, რომლის სიმთა ჟღერა სმენას
გვიტკბობს და გვართობს, გვალხენს
და გვანაღვლიანებს, გვაცინებს და
გვატირებს... უსიმო ჩანგი რაც გინ-

და დიდის ღირსებისა იყოს იგი და დახელოვნებულიცა იყოს თვით დამკვრელი, შეუძლებელია აქლერდეს. მუსიკა და მელოდია გამოსცეს. არა თუ უსიმო, არამედ მოშლილი და რამოდენსამე ძაფ დაწყვეტილი ჩანგი, სიამოვნების მაგიერ უსიამოვნებას მიაყენებს მსმენელს და ხშირად მაბეზარიცაა...

რაც შეეხება „ჰამლეტის“ წარმოდგენას, გულის ტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ყოვლად უფერულად და უშნოდ იყო მოწყობილი. მეფურ სასახლის ელფერი არაფერს არ ეტყობოდა: არც დეკორაციებს, არც ჩაცმა-დახურვას, არც mis en scem-ას, არც მოთამაშეთ და განსაკუთრებით პატარა როლების აღმსრულებელთ და მეფის ამალას. პირველსავე სურათში, მეფე კლავდიოს და დედოფლის წინაშე ამალად სამნახევარი კაცი იდგა, სამოცის და მეტის მაგივრად, და მერე რა ამალა, რანაირ ტანთ-ჩაცმულობით, რა ფეხსაცმლებით და რა თავ-სახურავებით!.. სხვა რომ არა იყოს რა, წარმოდგენის გარეგნობას მაინც როგორ ვერ გააუმჯობესებენ ჩვენის თეატრის ბედ-ილბლის გამგებელნი. იმის მაგივრად, რომ წარმატება და წინ-სვლა ეტყობოდეს თეატრს, ჩვენ უფრო უკან ვიწევით და იმასაც ვერ ვახერხებთ, რაც წინად გვქონია...

კერძოდ ქ-ნ ავალიშვილისამ კარგად წარმოადგინა ხანში შესული და გარყვნილი დედოფლის როლი, თუმცა ისევ უნდა შევნიშნოთ ჩვენს ძვირფასს და პატივცემულ არტისტ-ქალს, რომ ფუსფუსი და წარა-მარა ქვითინი სცენაზე სინიდისის ქენჯნის და გრძნობათა ღელვის მაგიერობას ვერ გასწევენ. ბ-ნი გედევანოვი ორსავე (პოლონი და მესაფლავე) როლში კარგი იყო: ბ-ნნი გამყრელიძე (აჩრდილი) და კანდელაკი (აქტორი) არ იყვნენ ურიგონი.

წარმოდგენა ნაშუალამევს გათავდა, არც ასე გაჭიანურება ვარგა. ხალხი ნაკლებად დაესწრო, თუმცა „ჰამლეტზე“ ყოველთვის დიდ-ძალი ხალხი ესწრებოდა.

არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ ეგრედ წოდებულ „ქანდარას“ და განსაკუთრებით ამფითეატრის მაყურებელთა, იმ უმართებულო და უადგილო სიცილ-ხარხარისათვის, რომელიც წამ-და-უწუმ მოისმოდა ხსენებულ ადგილებიდან, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ წარმოდგენაზე სასაცილო მაინც და მაინც არა ყოფილიყო რა, მაგრამ ზრდილობა მოითხოვს საზოგადო კრებულებაში, თეატრში შესაფერს თავდაჭერას.

---

## მხატვართა საყურადღებოდ.

ერთის ჩინებულის და საქართველოს სიძველეთა მოყვარის სახლში ვნახეთ შესანიშნავი ნაშთი—ეს არის ხატი თამარ დედოფლის დიდებისა. აი აწერილობა ამ ხატისა:

ალაბის სიგრძე ტილო გაკრულია ხის ჩარჩოზე. ტილო ქართული ძველებური სკლატია (სვანურად ეხლაც სგალატ-ს ეძახიან), თეთრი ფერისა. ნახატი გამოყვანილია სხვა-და-სხვა ფერ წამლებით. ნახატის ზედაპირზე, მარცხნივ მხარეს, წარმოდგენილია თამარ დედოფალი, რომელიც ფეხზე დგას და იყურება მარცხენისკენ. ჩაცმულობა დედოფლისა მთლათ ქართულია: თავზედ დახურული აქვს ქართული მრგვალი ქუდი, შავი ფერისა, ტანზედ წამოსხმული აქვს საიმპერატორო პორფირი, ძვირფასად შეკერილი; პორფირის ქვეშ გამოსჩანს მომწვანო კაბა ატლასისა, ყოშებიანი; კაბის გულისპირი დამაგრებულია ძვირფას თვალით, რომლის ზევით გამოსჩანს თამარ დედოფლის ცნობილი გულსაკიდი ჯვარი; კეფის მხრით, ქუდზედ ხელოვნურად დამაგრებულია ძვირფასი ლეჩაქი, რომლის ერთი წვერი, მარცხენა მხრიდგან გადმოშვებული, ეხვევა მეფის ყელს და გადადის მარჯვენისკენ; კაბის ქვეშეთგან ოდნავ ჩანს დედოფლის ფეხსაცმელი—უქუსლო წუღები. საზოგადო გამოყვანილობა და სახის გამომეტყველება წარმოგვიდგენს თამარ მეფეს მოხუცებულობაში: თვალები აქვს დიდრონი, შუბლი მაღალი, ცხვირი ზომიერი, წარბები შავი,—„ყორნის ბოლო“, თმა გიშერი, პირისახე ხანში შესულ დედაკაცისა, ბაგენი წვრილი და ზომიერი; მარცხენა ხელში უჭერია რგვლად დახვეული ეტრატი, ხოლო მარცხენა—გაწვდილი აქვს იქითკენ, საითაც თვითონ იყურება. მოხუცი დედოფალი დგას მეტად ახოვანად და დიდსულოვანად და სრულის კმაყოფილებით უჭვრეტს და უმზერს ნაყოფს თვისის მეფობისას:

ა. თამარის წინ არჭვია მრგვალი ხე, რომლის მაღლა-მაღლა აწვდენილ წვერზე ფრიალებს ქართველთა დროშა, ძვირფასად ქსოვილი. დროშის კუთხეებში ფოჩებიანი ბურთებია, ხოლო შუაგულში გამოყვანილია ღვთის-მშობელი მისი ყრმითურთ. დროშის ხის ზემო წვერი წარმოადგენს გაშლილ ხელს (ხელის მტევანს); დროშა-ალამი წითელია. ბ. დროშის იქით, შორს გამოსჩანს: დაბლა, ორი ტომრებ კიდებული თათარი, რომელთაც ხარკი მოაქვთ და მაღლა—ზღვა, რომელზედაც მოცურავს გემი და მოდის თამარისაკენ; გემი პირისპირამდე სავსეა დროშა-ალამებით, საყვირეებით, ფილაკავანებით (ფილაკავანი ციხეების სამტვრევ-სალეწი მანქანაა) და სხ. გ. გემის თავზედ, მაღლა, ფრიალებს დროშა, რომელზედაც გამოყვანილია მძვინვარე ლომი; ეს დროშა ორ წვერად იყოფება ბოლოში. ზემორე ხსენებული თათრები მძიმე ტვირთის ქვეშ წაზნექილან, თვალები საცოდავათ დაუჭყეტიათ. დ. თამარის აქეთ-იქით და წინ მოჩანს ყვავილები. ე. თამარსა და მთელს ხატს მზის შუქი ანათებს შორიდგან.

მთელი სურათი საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე, თუმცალა, სამწუხაროდ, სიძველისა გამო ტილო დაჭმუჭნულა და ამის გამო თვით მხატვრობის წამლებიც დამსკდარა, დაწეკვილა. მე, ჩემ თავად, საქართველოს მხატვრობის ისტორიის მიხედვით, ამ ძვირფას საუნჯე-ნაშთს ვაკუთვნებ იმავე დროს, რა დროსაც სცხოვრობდა თვით უკვდავი დედოფალი,—გარნა ამ კითხვის საბოლოოდ გადაწყვეტა მიმინდვია ჩვენის ძველის სამხატვრო ხელოვნების ზიდმიწევნით მცოდნეთათვის.

აზრი, ანუ იდეა ნახატისა მეტად დიდებულია: მთელი სურათი იმასვე გვიხატავს, რასაც საერო ლექსი:

უბისს ავაგე საყდარი,
უწყლოსა წყალი ვადინე;
ისპაანს დავსდევ ბეგარა,
სტამბოლს ხარაჯა ავიღე;
თეთრს ზღვაში რკინა ჩავაგდე,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე.

საჭიროც იყო, რომ ამისთანა ძლიერის დედოფლის საქმენი და ღვაწლნი აღვნიშნოთ არა მარტო ეტრატსა და ქაღალდზედ, არამედ ტილოზედაც.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ნახატზედ, გემსა და თათრებს შორის, აწერია შემდეგი სიტყვები: „თამარ, მეფე ქართველისა“.

მ. ჯანაშვილი.


# 1897 Г.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА
## „ЮРИДИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ“

**съ безплатнымъ приложеніемъ**
„Сборника рѣшеній Уголовнаго и Гражданскаго Кассаціонныхъ Департаментовъ и Общаго Собранія Правительствующаго Сената“ и „Собранія узаконеній и распоряженій Правительства“.

**Выходитъ два раза въ недѣлю: по воскресеньямъ и четвергамъ.**
**БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ**

Годовая подписная цѣна съ доставкою и пересылкою **СЕМЬ РУБ.**
Допускается разсрочка въ платежѣ: при подпискѣ—4 р. и къ 1-му апрѣля—остальные—3 руб.
(Адресъ: С.-Петергургъ, Невскій пр., д. № 59, кв. № 1).

**Программа:** Передовыя статьи.—Обзоръ постановленій отечественнаго и послѣднихъ важнѣйшихъ постановленій иностраннаго законодательствъ.—Статьи и замѣтки спеціально юридическаго содержанія.—Рисунки и иллюстраціи къ тексту статей на общемъ основаніи.—Вѣсти и слухи —Корреспонденціи.—Фельетонъ.—Рѣшенія Правительств. Сената.—Отчеты о судебныхъ засѣданіяхъ и процессахъ.—Рефераты юридическихъ ученыхъ обществъ и диспуты.—Движеніе по государственной и общественной службѣ (приказы министерствъ).—Дѣйствія правительства (собр. узак и распор. прав.).—Списки дѣлъ назначенныхъ къ слушанію въ Департаментахъ и общихъ собраніяхъ Правительствующаго Сената.—Списки лицъ, состоящихъ подъ опекою, признанныхъ несостоятельными, возстановленныхъ въ правоспособности, а также объявленія объ уничтоженныхъ довѣренностяхъ (Сенатскія объявленія).—Обзоръ юридическихъ журналовъ.—Новыя книги и отзывы о нихъ (библіографія).—Объявленія.

Вмѣстѣ съ этимъ подписчики, **внесшіе полную годовую плату за газету**, могутъ обращаться въ контору „Юридической Газеты“ за справками по дѣламъ какъ судебнымъ, такъ и административнымъ, и за разрѣшеніемъ юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся ихъ имущественныхъ или личныхъ интересовъ.

(6—1)

## Магазинъ
# О. ЗИБЕРТА
*Дворцовая.*

Гравюры, фотографіи и платинотипы съ произведеній **ИЗВѢСТНЫХЪ ХУДОЖНИКОВЪ** фирмы Буссо, Валадонъ и Ко въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

**ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ**
серебрянныя вещи фабрики Мюллеръ въ Ригѣ.

Большой выборъ: *альбомовъ, дорожныхъ и дамскихъ* **НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕЙ** и т. под.. *Мельхіоровыхъ вещей*, издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и т. д.

**Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.**

(40—4)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 го Декабря, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია